საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს გადაწყვეტილება

თბილისი, 2025 წლის 13 ოქტომბერი №77/13-XIმპ

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის თანამდებობაზე ასარჩევად წარმოდგენილი გიორგი ფრუიძის კანდიდატურის განხილვის შესახებ

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 188-ე და 193-ე მუხლების შესაბამისად

საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

1. გიორგი ფრუიძის კანდიდატურის საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენის შესახებ საქართველოს პრეზიდენტის წარდგინება (№1-8965/25, 07.10.2025; №1-8985/25, 08.10.2025) განსახილველად გადაეცეს საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტს.
2. საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით დადგენილი წესით განიხილოს გიორგი ფრუიძის კანდიდატურა და დასკვნა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი